ადგილობრივი ტელევიზიის ცნობით, პრეზიდენტის თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში გამადახლებლი იყო. ოპოზიციის ათიათასობით მომხრე პარლამენტის წინ იყო შეკრებილი და, პრეზიდენტის გადადგომის მოლოდინში, წინასწარ ზეიმობდა.

მანამდე მიხილ სააკაშვილმა თავის მომხრეებს შევარდნაძის რეზიდენციაზე ნასესურების მოწოდება, რათა ის აეშულებინათ, გადამდგარიყო. საპროტესტო გამოსვლები კი 2 ნოემბრის გაყალბებული საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დაიწყო.

ერთი დღით ადრე შევარდნაძემ განაცხადა, რომ მზად იყო, ოპოზიციის ლიდერების მთავარი მოთხოვნები განეხილა, ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების ჩათვლით, მაგრამ ოპოზიციის ლიდერებმა განაცხადეს, რომ მოლაპარაკებები უკვე დაგვიანებულია. შაბათს ოპოზიციამ პარლამენტის შენობა დაიკავა. ეს 1989 წლის აღმოსავლეთ ევროპაში განვითარებულ მოვლენებს ჰგავდა, როდესაც სამხედროები გვერდზე გადავდნენ. შევარდნაძე აიძულეს, გაქცეულიყო. "შევარდნაძის რეჟიმი გაკოტრებულია. მის დრო ამოიწურა," - განაცხადა სააკაშვილმა, 35 წლის პოლიტიკოსმა, რომელმაც ოპოზიციის განათლება აშშ-ში მიიღო.

75 წლის პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე იგორ ივანოვთან შეხვედრის დროს, ვიდეოკამერების წინ გამოფიჭულად და ნერვიულად განმოცურებოდა. პრეზიდენტის ეწინააღმდეგადად, რომ მზად იყო, ოპოზიციის ლიდერების მთავარი მოთხოვნები განეხილა, ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების ჩათვლით, მაგრამ ოპოზიციის ლიდერებმა განაცხადეს, რომ მოლაპარაკებები უკვე დაგვიანებულია. შაბათს ოპოზიციამ პარლამენტის შენობაში ოპოზიციის შეჭრა დაგვიანებულია. შაბათს ოპოზიციამ პარლამენტის შენობაში ოპოზიციის შეჭრა დაგვიანებულია. შაბათს ოპოზიციამ პარლამენტის შენობაში ოპოზიციის შეჭრა დაგვიანებულია.

კორესპონდენტების თქმით, შევარდნაძე ერთ დროს პოპულარული და აღიარებული ლიდერი, ახლა მრავალი ქართველის მიერ განხილვება, როგორც მთავარი მიზეზი, ვინც ქვეყანაში კორუფცია და სილატაკე ააყვავა.

ბანტიანი პროტესტების დღეს



მომავალ ორშაბათამდე!



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: niadaria@24hours.ge

ნოდარ ლადარია

სურავინ იტყვი, რომ არ ახსოვს ზვიად გამსახურდიას ნათქვამი: "მათ ზარბაზანი გვესროლეს, ჩვენ კი ყვავილები ვესროლოთ". გასული წლების განმავლობაში არაერთხელ გამცინებია ამ სიტყვებზე. დიახ, ამას ყველა დამიდასტურებს, ვინც კი მიცნობს. გამცინებია, მაგრამ არ დამეინყებია. ისევე, როგორც ყველას. წლების განმავლობაში არავინ იცოდა, არავის ეგონა, რომ ამ წინადადების მეორე ნაწილს 2003 წლის 22 ნოემბერს ეწერა ახდენა.

სწორედ ამ დღეს პარლამენტის დარბაზში ნასროლი ვარდით დაგვიბრუნდა ამდენი წინის განმავლობაში ამდენი ტყუილი გატყუნილი საბნის ქვეშ ჩამთბარი და ჩაძინებული ღირსება. არა, ქართველ ხალხს არ გასჩენია ნაწილი, "გვერდები აუდგა", სარკმელი გამოალო და გიორგობის დილის სუსხიანი ჰაერი შემოუშვა შინ.

იმედია, რომ ეს ჰაერი გააბნევს ათი წლის განმავლობაში დაგვიბრუნდა სიმყარეს. არ გვეჯეროდა ამისა, ჯერ კიდევ ორი დღის წინ არ გვეჯეროდა, რომ ამხელა ენერჯია და ჭეშმარიტების ახველა წყურვილი ბუდობდა ქვეყანაში, სადაც წლების განმავლობაში ყურადღების ღირსი პრობლემა იყო ბასილ მკალაიშვილი, ხოლო გურამ მარაძის დემაგოგიას ტელე-ურნალისტები იმდენად მაინც უსვენდნენ ანგარიშს, რომ ორმოცი წუთით თუ მთელი საათით უთმობდნენ ეთერს.

"რაო, ამუშავდება ახლა ფაბრიკა-ქარხნები?" — ირონიის გარეშე მკითხა დღეს დილით "მარშ-რუტის" მძღოლმა. დღეიდანვე ალბათ არა. დღეიდანვე არც დალხენილი ცხოვრება დაგვიდგება. მაგრამ ერთი რამ უეჭველია: დღეიდან ცხოვრება გაცილებით უფრო საინტერესო და ნიჭიერი გახდება. ამის იმედს ოპოზიციის მარშის ერთი მონაწილის, უბრალო ადამიანის სიტყვები მაძლევს: "მარტო შიმშილიც არაა, სულში ჩავვაფურთხეს".

ამ დღეებში ელვის სისწრაფით ძველდება ყველა ამბავი, მოვლენები თავბრუდამხვევი სისწრაფით ცვლიან ერთმანეთს. დღეს საქართველოში თერთმეტი წლის წინათ ნასროლი თითქოსდა უაზრო სიტყვებს წინასწარმეტყველების მნიშვნელობა მიეცა.

მაგრამ კიდევ ერთი წინასწარმეტყველება გავიგონეთ — ამჯერად 22 ნოემბერს. ის სანა დევდარიანს ეკუთვნის: "სამართლიანი მხოლოდ მამაზეცერია" — თქვა მან პარლამენტის შენობაში, ცოტა ხნით ადრე იმ მოვლენებამდე, რომელთა წინასწარი განჭვრეტა არავის შეეძლო, არც ქუჩაში გამოსულ და არც ტელევიზორს მიჯაჭვულ ათასებს. დიახ, საღვთო სამართალი ყველავის მიუხედავად სრულდება და მას ზოგჯერ საკუთარი უსუსურობის თუ უნამუსობის მიჩქმალვის მსურველი ადამიანებიც აცხადებენ.

დიახ, სამართალი აღსრულდა. ღრმა და არსებითი სამართალი, რომელიც გაცილებით უფრო მეტის მომცეველია, გაცილებით უფრო ძლიერადაა ჩაჭიდებული ყოფიერების საფუძველს, ვიდრე სი-

ტყვა, რომელსაც ჩვენ, მაღლობა ღმერთს, უკვე საკმაოდ მივერჩეთ — ლეგიტიმურობა.

ლეგიტიმურობაზე ჯერჯერობით ბევრს ლაპარაკობენ. მართალია, შევარდნაძემ მოასწრო პარლამენტის სხდომის გახსნა, მაგრამ ნუ დაგვაინყვებია, რომ ყოველგვარ კანონს დაწერილი სიტყვების გარდა კიდევ სულიც აქვს. პარლამენტის სული კი ძალაუფლების წარმომადგენლობითობაა. გუშინ ქართველმა ხალხმა სწორედ კანონიერების სული აღადგინა — პარლამენტარული ხელისუფლების წარმომადგენლობითობა. ჩვენ ხომ ვიცით, გულის სიღრმეში ხომ დარწმუნებული ვართ, რომ დაუმთავრებელ სხდომაზე შეკრებილი პარლამენტი ჩვენი საერთო წების გამომხატველი, ჩვენი წარმომადგენელი არ ყოფილა.

მაგრამ რა კანონიერი მნიშვნელობა აქვს იმას, რაც ვიცით ჩვენ გულის სიღრმეში? — არსებითი, მართლაც რომ არსებითი მნიშვნელობა აქვს. ყველასათვის ცხადია, რომ დგება წამი, როცა სახელმწიფოში კანონიერების განსახორციელებლად თითოეული ადამიანი, ყოველგვარი სახელმწიფოებრიობის საბოლოო მიზნად აღიარებული ცალკეული პიროვნება, უნდა ადგეს, შინიდან გავიდეს და კონკრეტული ფიზიკური მოქმედება მოახდინოს. ამ მოქმედებას არჩევნები ჰქვია. მაშინ ერთ საგანგებოდ არჩეულ დროის მონაკვეთში, საგანგებოდ მონაწილე სივრცის კონკრეტულ ადგილას ხდება კანონისა და სიცოცხლის შეხვედრა. ამ შეხვედრის გარეშე კანონი არ არსებობს: ის არა მარტო კვდება, არამედ ისეთივე ბოროტებად და მაგნელობად იქცევა, როგორც მინის ზემოთ დარჩენილი გახრწნილი გვამი.

პიროვნების ცოცხალი წებისა და იურიდიული აბსტრაქციის შეხვედრის გარეშე ყოველგვარ ლეგიტიმურობაზე ლაპარაკი ზედმეტია. თუ ეს შეხვედრა არ მოხდა, თუ დროისა და სივრცის საგანგებოდ არჩეულ მონაკვეთში პიროვნების ნება და კონსტიტუციის სიტყვა არ შეუღლდა. ყოველ პიროვნებას აქვს უფლება ეს სანატრელი პაემანი მაშინ და იქ მოახსოვს, სადაც უნდა. ჩვენს ცოცხალ ნებასა და ჩვენს კანონიერებას სწორედ ეს სანატრელი პაემანი მოხდა 2003 წლის 22 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის დარბაზში, როცა ახალგაზრდა "კმარელებმა" ვარდების სროლით განმინდეს იქაურობა.

მაშინ და იქ აღდგა კანონიერების სული: ხელისუფლების წარმომადგენლობითობა. დღეს საქართველოს წარმომადგენლობითი ხელისუფლება რუსთაველის პროსპექტზე შეკრებილი ადამიანებისაა. ისინი წარმომადგენელ ერის ნებას, ისინი არიან დღეს ჩვენი ნამდვილი, კანონიერი დებულებები.

და რადგან დღეს თორმეტწლიანი ბრძოლის განმავლობაში დაგვირგვინდა წინააღმდეგობათა გადარჩევნის დროა, არ შემოძლია არ გამოვეჩხაურო მერაბ მაშარაძის სიტყვებს, რომლებიც ასევე შემორჩა ყველა ქართველის მესიერებას და თუმცა სხვადასხვაგვარი, მაინც ღრმა კვალი დატოვა ჩვენს ცნობიერებაში. ამ მხრივ უნდა ვთქვა, რომ ამ დღეებში ჩემს არსებაში გაერთიანდა და ერთმანეთს გაუიგივდა სამშობლო და ჭეშმარიტება.

ყველას უღრმესი მადლობა!



არჩევანი ბაკთაბულია

1. თქვენი აზრით, ფლობს თუ არა სიტუაციას ოპოზიცია?
2. რა იქნება ამის შემდეგ?



ნიკოლაი სინიტციკი



გიორგი შენგელია



რეზო ცისძე



ნიკოლაი სინიტციკი

ნიკოლაი სინიტციკი
რუსული კულტურის ცენტრის დირექტორი

1. რა თქმა უნდა, კი. ახლა პროსპექტზე გავიარე, რეცხავდნენ მოედანს. ეს-ეც სწორედ იმაზე მეტყველებს, რომ ოპოზიცია აკონტროლებს სიტუაციას. აბა სხვას რას ჰქვია კონტროლი? დღეს ეს ახალგაზრდები, ლიდერები, ჯერ ბოლომდე არ მოსულან ხელისუფლებაში და უკვე ცდილობენ რაღაცას; ასუფთავებენ ქალაქს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

2. მორადიობა ყველანაირი პოლიტიკური ცვლილებების განუყოფელი ნაწილია. ეს სახასიათოა ყველანაირი, თუნდაც მდიდარი ქვეყნისთვის. 11 სექტემბრის შემდეგ შეერეულ შტატებში მორადიობა გაიზარდა. მართალია, ეს ცუდი სინდრომია, მაგრამ არსებობს და ალბათ იარსებებს. და ამიტომაც, წინა ბურჟუაზიის მიმართ პოლიტიკურ-ბრძოლაში, მეტი ყურადღებით იმუშაონ, დროულია, რასაც, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებიც ეთანხმებიან. ჩვენ არაფრის არ უნდა გვეშინოდეს. ჩვენ უნდა ვიყოთ ერთად ისე, როგორც არასდროს, თუკი გვინდა ვიცხოვროთ ნორმალურ ქალაქში, სადაც დაეიბადეთ და არ არსებობდა სიტყვა ნაციონალიზმი. მაშინ ყველას ეროვნება იყო თბილისელობა. და მოვა დრო, როდესაც ადამიანს ეროვნების მიხედვით კი არ განსჯიან, არამედ იმის მიხედვით, თუ რა გააკეთა მან ამ ქალაქისთვის.

მესმის, რომ არიან ძალები, რომელთაც არ სურთ განსაზღვრონ და დაარქვან მომხდარს თავისი სახელი ხმაბალა, მაგრამ ყველა ერთად უნდა დავებ-მართო ქვეყანას; და არა ისე, ვისხედო სახლში ტელეეკრანებთან, სირაქლემას პოზიციაში - დაველოდოთ მოვლენების განვითარებას და შემდეგ აპოლოდისმენტები გავცეთ. ასე არასდროს არაფერი გამოვა. ახლა ძალიან მნიშვნელოვანი რამ ხდება ჩვენს ცხოვრებაში. ჩვენ დაგვიბრუნდა იმედი. ჩვენ არ გავყავდა იდეალები. ეს უნდა ჰყავდეს ისინი. იმედი მაქვს, იდეალები გამოჩნდებიან, ან უკვე გამოჩნდნენ.

გიორგი შენგელია
რეჟისორი

1. ამ ეტაპზე ყველაფერს მართავს ხალხი, ხალხის ნება. ეს პოლიტიკური პროტესტი, რომელიც ყალბი არჩევნების გამო დაინიყო, იმავდროულად სოციალური პროტესტიც არის. ხალხი შევარდნაძესთან აიგივებს თავის სიღუჭირესა და სიღატაკეს. აი, ამით წარმართება მოვლენები და ეს ამოძრავებს ლიდერებსაც და ეს გვაძირავებს ჩვენც - საზოგადო მოღვაწეებსაც.

ახლა სწორედ საზოგადოების ერთიანი ნების გამოხატვის მოწმენი ვართ. ისინი ითხოვენ არა მხოლოდ იმას, რომ მთავრობამ მოსახლეობას პური მიანოდოს და სინათლე ჩაურთოს; მათ წესიერი მმართველობის დამკვიდრება სურთ. კორუმპირებული ჩინოვიანები შევარდნაძის მეთაურობით მთავრობას უნდა მოშორდნენ. მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძემ საბჭოთა კავშირის დროს დემოკრატიისკენ რაღაც ნაბიჯები გადადგა, მან - თავისი კომპიუტერული ბიოგრაფიითა და ინტელექტით, მაინც ვერ შეძლო აღებული კურსის შენარჩუნება. როდესაც ხელისუფლება ჩაიგდო ხელში, ვერ გაიაზრა, რომ მისი შვილები, ნათესავები უნდა ყოფილიყვნენ ექიმები, მასწავლებლები და უნდა მიეღოთ ისეთივე ჯამაგირი, როგორც ხალხს ჰქონდა. ეს რომ გაეკეთებინა შევარდნაძეს, ამ სიღუჭირის მიუხედავად, დღევანდელ მდგომარეობამდე მაინც არ მივიღოდა საქმე. ეს იმიტომ, რომ სიძულვილი მმართველისადმი იბადება მაშინ, როდესაც ირვდება სოციალური სამართლიანობა. ეს ფეხსეულია კი დემოკრატიული წყობისთვის უმნიშვნელოვანესია. თომას ჯეფერსონის ადამიანის უფლებათა დეკლარაციის ერთ პასაჟს გავიხსენებ: ადამიანს აქვს უფლისგან მონიჭებული უფლება სიცოცხლის, თავისუფლებისა და ბედნიერებისკენ სწრაფვის. ეს უნდა იყოს ყველა სახელმწიფოს მთავარი ფასეულობა. ჩვენ, ქართველები ნიჭიერი და თავისუფალი ხალხი ვართ, არ ვართ მომხვეჭელები და ჩვენ გვრძნობთ, თუ რას ნიშნავს თავისუფლებისკენ სწრაფვა. დღევანდელი დღე სწორედ ამის გამოხატულებაა.

2. მე ვფიქრობ, რომ უკვე ყველაფერი

რამდენად, ეს უკვე მოგებული სიტუაციაა. კიდევ გადმოვლენ ჩვენს მხარეს და ხალხსაც მიეცემა საშუალება, სახელმწიფოს სადავეები განათლებულ და უანგარო ხალხს გადაულოცოს; ისეთს, რომელიც იცხოვრებს, როგორც დანარჩენები ცხოვრობენ. მე ვიცი, რომ ეს ახალი ლიდერები ამ მთავარი დემოკრატიული ღირებულებებით ქვეყნის მართვას ნამდვილად შეძლებენ; რომ ისინი ღირსეულად შეასრულებენ ხალხის მიერ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს. შევარდნაძე უნდა ნავიდეს, პარლამენტი უნდა დაიშალოს და დაინიშნოს რიგგარეშე საყოველთაო არჩევნები. აი, ეს არის ამ მშვიდობიანი რევოლუციის მშვიდობიანად დასრულების საშუალება.

რეზო ცისძე
რეჟისორი

1. ოპოზიციამ ფანტასტიკური შინაგანი და გარეგანი ღირსებები გამოავლინა. განვციფრებული ვარ მათი შესაძლებლობებით. რაც მათ მოახერხეს, სასწაულია და სხვა არაფერი. თანაც, სასწაული ზოგადად ამ მოძრაობების ისტორიაში, მსოფლიოს მასშტაბით. და მსოფლიოც აღფრთოვანებულია ჩვენით. აქ ხომ ყველაფერი მოხდა უდიდესი შინაგანი სინონიმით, ლმობიერებით, ღირსებათა, სილამაზითა და იდეით. ბედნიერებაა, რომ ჩვენ ასეთი ერის შვილები ვართ.

2. ჩემამდე ვერ დადის, მთავრობის უფუნურება. რა ხალხი უნდა იყოს იქ, რომ საკუთარ ხალხზე აღმართოს ხელი. ნავიდეს იმ ბავშვების, მოხუცების, დედების წინააღმდეგ, საქართველოს გაერთიანება გვინდოდა? აი, ბატონო - ეს არის ერის გაერთიანება. და რა გამოდის მაშინ? - რომ შევარდნაძე მთელი ცხოვრება გვატყუებდა, როცა ამბობდა, საქართველოს გაერთიანება. ჩვენი ქვეყანა ახლა გაერთიანდა და მე ბედნიერი ვარ.

ბასა ჯანიკაშვილი
დრამატურგი

1. ვფიქრობ, რომ ნელ-ნელა კონტროლს იღებს, ყოველ შემთხვევაში გვერდიდან ასეთი მთავრეაქტიულობა რჩება, შე-

საძლია ჯერ სრულად ვერ აკონტროლებს, მაგრამ ნელ-ნელა ოპოზიცია ხელისუფლების სადავეებს იპყრობს. გამარჯვება ახლოსაა. ყოველივე ეს იმას მაგონებს, როცა ფეხბურთში ორი ტაიმი სათამაშო, პირველი ტაიმი დიდი ანგარიშით მოიგე და მეორე 45 წუთი უბრალოდ ფორმალურად უნდა ითამაშო, ეს სიტუაცია ახლა, ფორმალურად, მოგებული მატჩის მეორე ტაიმი უნდა ვითამაშო.

2. პირველ რიგში პრეზიდენტზე და მოკიდებული, ან მან კაცურად უნდა თქვას, რომ ყველაფერი დამთავრდა არც ის მიდის, ან საერთოდ არაფერი არ უნდა თქვას და ისე ნავიდეს. მოლაპარაკებებისა და კომპრომისების დრო უკვე ნაღია. ამ ხალხს უკვე ვერც ბურჯანაძე, ვერც სააკაშვილი და ვერც ერთი ლიდერი ვერ დაანუნებებს და ვერ ეტყვის, რომ ახლა თქვენ დაიშალეთ, პრეზიდენტი დარჩება თავის ადგილას და საპრეზიდენტო არჩევნებს დაინიშნავს.

ლაშა ბულაძე
დრამატურგი

1. საქმე იმაშია, რომ ხელისუფლება ვერასდროს ვერ აკონტროლებდა სიტუაციას, აქედან გამომდინარე უკვე შეიძლება ითქვას, რომ ოპოზიცია, მეტრად უფრო წარმატებულად ართმევს ამას თავს. ეს არის საოცარი შემთხვევა, საქართველოს ისტორიაში ხდება მართლაც გაერდატება, ყველანაირი თვალსაზრისით, იმიტომ, რომ ქართველმა ხალხმა აჩვენა თუ რა არის შემართება საზოგადოებრივი ეთიკა და კულტურა. ხალხი თვითონ მოუვლის ამ ქვეყანას, ერთადერთი მანკიერი რაც ამ ქვეყანაში არსებობს, ეს არის შევარდნაძე არა პირველად თვალსაზრისით, არამედ შევარდნაძე, როგორც მანკიერი კატეგორია. დაგვიდგა დრო იმისა, რომ ამ მანკიერების გარეშე ვიცხოვროთ.

2. ასევე მშვიდობიანად დასრულდება, იმიტომ რომ ხალხი კულტურულად უყურებს ამ პრობლემას და შესაძლოა მაღალფარდოვნად ფიქრდეს, მაგრამ ჩვენ მართლაც არჩევანი გავაკეთეთ საბჭოთა კავშირსა და ევროპას შორის ევროპის სასარგებლოდ. ჩვენ ევროპელები ვართ, აქედან გამომდინარე პრობლემა არ შექმნილა.

პარდების რევოლუცია



„ეს იყო ჩემი გადაწყვეტილება და მე ვაბეზ ვასუსს„

სახელმწიფო ტელერადიოკორპორაციის ახალი თავმჯდომარის რეკონსტრუქციური განცხადება



სულხან მელაძე



კობა ბეკაური



თამარ ჩიკარიშვილი

პირა ნაფარძიძე

იმის მიუხედავად, რომ რეკონსტრუქციური, ძნელადწარმოსადგენი ძეგლებისა და ცვლილებების მომსწრეები გაეხდით, „მოამბის“ ერთდღიანი „ჩაგდება“, ვფიქრობ, ყურადღების მიღმა არ დარჩებოდა გონიერ მაყურებელს. არ ვიცი, ზაზა შენგელიას სურვილი სრულდება და სახელმწიფო ტელერადიოკორპორაცია საზოგადოებრივ მაუწყებლობაზე გადადის თუ რა ხდება, მაგრამ ქვეყანაში მიმდინარე რეკონსტრუქციური ცვლილებები რომ სახელმწიფო სატელევიზიო არხსაც შეეხო, უკვე ფაქტია. „პირველი არხის“ მაუწყებლობის ფორმატის შეცვლაზე გუშინ ოფიციალურად საქტელერადიოკორპორაციის ახალმა თავმჯდომარემ გიორგი ლეონიძემ განაცხადა. თუმცა, ახალი შეფასებები განცხადებამდე ტელევიზიის კიბეებთან თანამშრომლები პანიკაში იყვნენ...

ეთი პათოსის ბრალი ის იყო, რომ თანამშრომლებს ხელმძღვანელობისგან არანაირი ინფორმაცია არ ჰქონდათ მიღებული. ტელევიზიის ხელმძღვანელობას პანიკის პარალელურად უკვე დაწყებული ჰქონდა მოლაპარაკებები „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებთან. მაშინ, როდესაც შენობასთან დეპარტამენტის თანამშრომლები მათდამი გამოცხადებულ პროტესტს აპროტესტებდნენ, მათი ხელმძღვანელის კაბინეტში თავად გიორგი ლეონიძე და მისი მოადგილე ედნარ გიორგობიანი „სტუმრებს“ – ვანო მერაბიშვილსა და კობა ბეკაურს შეუთანხმდნენ, როგორც უნდა ყოფილიყო პირველი არხის ფორმატი უახლოესი დღეების განმავლობაში. ვიდრე პირველი არხის მუშაკები სიტუაციიში გაერკვეოდნენ, ისინი რუსთაველის პროსპექტზე მიმდინარე აქციებთან მათთან მისულ ადამიანებთან იცავდნენ „საკუთარ სიმათლეს“. ტელევიზიის ასაღებად წამოსული ხალხი, სწორედ რუსთაველის პროსპექტიდან გამომართული მოქალაქეთა მცირე ჯგუფი აღმოჩნდა. არავინ არ აპირებს შენობაში შევარდნას. ეს არის, უბრალოდ, საზოგადოების პროტესტი პირველი არხის მიმართ. ჩვენ ვფიქრობთ სახელმწიფო სატელევიზიო არხს და ვამჩნევთ, რომ რაც ზაზა შენგელია გადადგა, ძალიან ტენდენციურად აშუქებს მიმდინარე მოვლენებს. ყველა ჟურნალისტიკა უნდა გადასცეს რუსთაველის პროსპექტიდან გამომართულ აქციებს. ძალიან ტენდენციურად აშუქებს მიმდინარე მოვლენებს. გიორგი ლეონიძის კაბინეტში ავიდნენ (შეხვედრას ესწრებოდა „ბურჯანაძე-დემოკრატების“ წევრი გივი წერეთელიც); საკუთარ ოთახში კორპორაციის ხელმძღვანელმა მისივე თანამშრომლების საკმაოდ დიდი ნაწილისთვის (რომელთაც გიორგი ლეონიძის განცხადების დასრულებისთანავე გამოხატეს საკუთარი პროტესტი) მეტად არასასიამოვნო სიახლე აცნობა საზოგადოებას. „ამ ადამიანების მოსვლას (სხვათა შორის, ძალიან მეგობრულს) და ჩვენს დახვედრას, შედეგად მოჰყვა ის რომ, ჩვენ შევთანხმდით კონკრეტულ საეთერო ფორმატზე. მათ ჰქონდათ გარკვეული პრეტენზიები ჩვენს მა-

უწყებლობასთან დაკავშირებით; ზოგიერთი პრეტენზია მივიღეთ, ზოგიერთი – არა, მაგრამ საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეთანხმებას მივალნიეთ. შევთანხმდით იმიტომ, რომ ეს ტელევიზია, უფლებას მივცემ ჩემს თავს, რომ ახლა ჩემი კოლეგების სახელით ვისაუბრო, ემსახურებოდა და კვლავაც ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ მათ, ვინც უსმენს და უყურებს ჩვენს რადიო თუ ტელე ეთერებს. ჩვენი გადაწყვეტილება გამოწვეულია საერთო ინტერესით და ეს ინტერესია – ხალხი“. გიორგი ლეონიძის მიღებულმა გადაწყვეტილებამ ტელევიზიის თანამშრომლებში ცხარე რეაქცია მაშინ გამოიწვია, როდესაც საქტელერადიოკორპორაციის ხელმძღვანელმა დააკონკრეტა შეთანხმების პირობები. გიორგი ლეონიძის არ დაუმაღლავს, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში, პირველი არხის ეთერში არ გავა საინფორმაციო გადაცემა „მოამბე“ და ასევე სხვა საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამები. ხელმძღვანელმა ვერ მისცა ტელევიზიის მუშაკებს გარანტიები, თუ რამდენი ხანი გაგრძელდებოდა მათთვის უჩვეულო რეჟიმში მუშაობა. გადაწყვეტილების გამო პროტესტმა იქამდეც მიაღწია, რომ პირველი არხის თანამშრომლებმა ორი წლის წინათ ხელისუფლების მხრიდან „რუსთაველ“-ზე განხორციელებული ზეწოლა გაიხსენეს და ითხოვდნენ პასუხს, პარალელური გავეულო მათ შეფს ამ ორ „ინციდენტს“ შორის. რაც, გიორგი ლეონიძემ საპასუხოდ ისევ საკუთარ თანამშრომლებს დაურეკა. ამას კი ერთ-ერთი ჟურნალისტიკა გაცხარება და საბოლოო სიტყვა მოჰყვა. როგორც ჩანს, ჟურნალისტიკა პირველი არხის დატოვება გადაწყვიტა. „ჩემს კოლეგებს თავისუფლად შეუძლიათ გადაწყვეტილების მიღება და მე მათ ამას ვერ დაუშვლი. ეს იყო ჩემი გადაწყვეტილება და მე ვაბეზ ვასუსს ამაზე“, – ასეთი იყო თავად გიორგი ლეონიძის პასუხი თანამშრომელთა რელიეკტზე.

„საკუთარი ფულით. გააშუქებენ ისე, როგორც ხალხის მოთხოვნებს შეესაბამება“, – ტელევიზიის ხელმძღვანელობასთან შეთანხმების პირველი კომენტარები კობა ბეკაურს ეკუთვნის. ამის შემდეგ საქტელერადიოკორპორაციასთან შეკრებილი ჟურნალისტები გიორგი ლეონიძის კაბინეტში ავიდნენ (შეხვედრას ესწრებოდა „ბურჯანაძე-დემოკრატების“ წევრი გივი წერეთელიც); საკუთარ ოთახში კორპორაციის ხელმძღვანელმა მისივე თანამშრომლების საკმაოდ დიდი ნაწილისთვის (რომელთაც გიორგი ლეონიძის განცხადების დასრულებისთანავე გამოხატეს საკუთარი პროტესტი) მეტად არასასიამოვნო სიახლე აცნობა საზოგადოებას. „ამ ადამიანების მოსვლას (სხვათა შორის, ძალიან მეგობრულს) და ჩვენს დახვედრას, შედეგად მოჰყვა ის რომ, ჩვენ შევთანხმდით კონკრეტულ საეთერო ფორმატზე. მათ ჰქონდათ გარკვეული პრეტენზიები ჩვენს მა-



ნანა ჩიკარიშვილი



გიორგი ლეონიძე

პარდების რეკონსტრუქცია



ბილიარდი

ლუჯაპი გოლო ბურთულა ჩაპარდა

... ახალი პარტია იწყება



არ დამიწყებთ ახლა, რა დროს ბილიარდიო. მით უმეტეს, უადგილოა ანდაზა, კოლეგებ რომ მომპაძაბა, "ქვეყანა იქცეოდა და ტურა ქორწილს იხდიდაო". ახლა ქვეყანა კი არ იქცევა, პირიქით, ახლა, ქვეყნის შენება იწყება და ბილიარდის დროც დადგა.

დალი კუპრაძე

ამჯერად მობილიარდე ქალეზე ვისაუბრებთ. თბილისის საბილიარდოებში სულ უფრო მეტი და მეტი ქალი თამაშობს.

რატომ თამაშობენ ქალები ბილიარდს? იმიტომ, რატომაც კაცები, მკასუსობენ აზარტული გოგონები "იმპერალიდან" და მორიგი დარტემისთვის ემზადებიან.

ბილიარდის ტექნიკა კი ისეთია, კაცებს რომ ჰკითხო, ქალს ის უნარები არ გააჩნია:

გონების და სხეულის მობილიარდს და კოორდინაცია არ შეუძლიათო. გარდა ამის, ემოციის შეკავებას ქალები ვერ ახერხებენ, ამით თამაშის ხარისხს აფუჭებენ, მეუბნება ერთი მობილიარდე და გოგონა დამანახა, რომელმაც განზილებულმა, რომ ბურთულა ლუჯაპი ვერ ჩაავლო, კია მაგიდას დაარტყა.

აესტრალიელი პოლა სიდნეიცი, რომელიც ბავშვობიდან ბილიარდს თამაშობდა, ამბობს, რომ ქალის პოლიტიკა ბილიარდის თამაშისას კაცისგან განსხვავებულია.

"ერთხელ, მეგობარი კაცის მიტოვება მინდოდა და ვერაფრით მოვახერხე ამის შესახებ მისთვის მეუთქვა. ერთად ყოფნის დროს ხშირად ვთამაშობდით ბილიარდს და ორივე ძალიან აზარტულები ვიყავით. ისე, რომ მან ამის შესახებ არ იცოდა, მე მასთან ბილიარდის ბოლო პარტია ვითამაშე, რომელიც ჩემი გამარჯვებით დამთავრდა. ერთდროულად ვთამაშობდით ბილიარდს მაგიდაზეც და მაგიდის გარეთაც. ძალიან მომხიზნარა ჩემი კაბის სიგრძეც და დეკორაციაც". ამბობს პოლა სიდნეი.

"ჩემს ქმართან ყოფნა მინდოდა და ბილიარდის თამაში დავიწყე. ის საბილიარდოში მუშაობს," - ეს უკვე ქართველი ქალია, რომე-

ლსაც ბილიარდის თამაში ძალიან მოსწონს და კარგადაც თამაშობს. "მომწონს, როცა კაცებს ვუგებ-ხოლმე, თუმცა ეს არც ისე ხშირად ხდება", - ეს ისევე მოყვარული მობილიარდე ქალის შეფასებაა, რომელიც არც იმას მალავს, რომ თამაშის შემდეგ ქალებისგან შექებას კაცის კომპლიმენტი ურჩევნია.

"ბილიარდის წყალობით, ბოლოსდაბოლოს, სანავგებში ნარჩენებს ზუსტად ვახვედრებ"... შთაბეჭდილება ნუ შეგეჭმნება, რომ ქალისთვის ბილიარდის თამაში ექსპლუატობის ერთ-ერთი საშუალებაა. ბალანსისთვის პროფესიონალებს მივმართე - ახლახან შექმნილი საქართველოს მობილიარდე ქალთა ლიგის წარმომადგენლებს: "ეს, თავისთავად, ბუნებისგან მოდის - ქალი ყოველთვის ქალია, მაგრამ თამაშისას მე ეს არ მახსოვს და ვერ ვაკონტროლებ. ვთამაშობ, რომ მოგების სიამოვნება განვიცავო", - კმაყოფილებას მგვრის, თუ კარგი, კომბინაციური თამაში მოვახერხე, თუ ქართველ ლუჯაპი ჩავაგდე, ყოველი მოგება უკეთესი თამაშისთვის განმანაცხებს". "ნუ დაიჩემებენ კაცები, რომ ემოციებს ფლობენ. რამდენჯერ მინახავს ემოციური დარტყმაც, განზილებაც და მოგებაც. მაგრამ, ეს აბსოლუტურად ნორმალურია, ადამიანი მანქანა ვერ იქნება, კაცია თუ ქალი".

"ჩემთვის ბილიარდის თამაში არჩევანია, ვირჩევ რისი სურვილიც და შესაძლებლობაც მაქვს, მოკლედ, თავისუფლება..."

აქ გჩერდებით. არჩევანის უფლება მეცა მაქვს და ვერ მოვთოკავ ემოციებს: ედუარდ შვეარდნაძემ კრწანისის რეზიდენცია საშუალოდ დატოვა, ბევრი მაქვს სახური და გასაკეთებელი, გამოაცხადა და სახლში წავიდა.


საქართველოს პრეზიდენტი, არჩვენებამდე, ნინო ბურჯანაძეა.

სპორტსმენები იქ დგანან, სადაც ხალხია...

მაშინ, როდესაც ეს მასალა მზადდებოდა, საქართველოში ჯერ არაფერი იყო გადაწყვეტილი. არავინ იცოდა, თუ რით დასრულდებოდა ყოველივე. საღამოს ჩვენს სპორტსმენებს შევეხმიანეთ და შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით აზრის გამოთქმა ვთხოვეთ. პოზიცია ყველას ერთი ჰქონდა - "მშვიდობიანი დასასრული". ქართველი სპორტსმენების სურვილი რამდენიმე საათში ახდა, მაშინ, როდესაც ეს სტატია უკვე მზად იყო. ყველაფერი მართლაც მშვიდობიანად დასრულდა!

ლევან კობიაშვილი (ფეხბურთელი, საქართველოს ნაკრების წევრი): "მე იქ ვდგავარ, სადაც ჩემი ხალხი დგას. მართალია, ახლა გერმანიაში ვარ, მაგრამ ჩემი სამშობლო, ჩემი ოჯახი ხომ მანდ არის. მხოლოდ ერთი რამ მსურს, მინდა, რომ ყოველივე ამას ბედნიერი დასასრული ჰქონდეს. მიხარია, აქამდე რომ ყველაფერი მშვიდობიანად მიდის. ჩვენი ხალხი უკეთეს მომავალს იმსახურებს, საქართველომ ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცა. ის, რომ ბაიდე-ბაიდეში შევარდნაძემ ვილა იყიდა, მეც გერმანული პრესიდან შევიტყვევებოდა მეტი არც მე ვიცი. აქაური ტელევიზია ძალიან დიდ დროს უთმობს საქართველოში მიმდინარე მოვლენების გაშუქებას. უკანასკნელი დღეების განმავლობაში ყველა ჩემი თანაგუნდელი და აქაური მეგობარი საქართველოზე მეტყობება. იმის გამო, რომ საქართველოში არ ვარ, ინფორმაციის ნაკლებობას განვიცდი, მიუხედავად იმისა, რომ გამუმდებთ ვიგებ ახალ-ახალ ამბებს. ერთადერთი, რაც მინდა ის არის, რომ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდეს, ეს არის ჩემი პოზიცია".

კახი კახიაშვილი (ძალისხის, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი): "საბერძნეთში მცხოვრები ქართველობა ტელევიზორებთან ვართ მიჯაჭვულნი. ყველა თვალყურს ვადევნებთ იმას, რაც ხდება საქართველოში. ინფორმაციებს ვლუბულით ტელეფონის მეშვეობითაც ბერძნული პრესაც აქტიურად ამუშავებთ თბილისში მიმდინარე მოვლენებს. სიმარტლე ვითხრათ, ვნუხვარ იმავარ, რაც დღეს ხდება საქართველოში. გვიჩნდა, რომ სა-



კახი კახიაშვილი

და აზრმა იზეიმოს. ახლა მნიშვნელობა არა აქვს შევარდნაძე იქნება პრეზიდენტი თუ არა. მთავარე საქართველომ გაიმარჯვოს. დღეს საჭიროა, რომ შევარდნაძემაც ზუსტი გადაწყვეტილება მიიღოს. არ შემძლია და ვერ გეტყვი ით იმას, საქართველოში მყავს მე-დგეს თუ არა. გთხოვთ სწორად გამოვით. ერთადერთი რაც მე მსურს, ეს საქართველოს კეთილდღეობაა.

ბოლო 10-15 წლის განმავლობაში ქართველ ხალხს უკეთ უნდა ეცხოვრა. უბრალოდ, ცუდია, რომ ხალხი პოზიციად და მოზიციად და დაყოფილი. ახლა მთავარი არ მოხდეს ის, რაც ათიოდე წლის წინათ მოხდა. დღეს ბევრი ადამიანი, სპორტსმენები, კულტურისა თუ ხელოვნების მოღვაწეები, მეცნიერები საზღვარგარეთ არიან გადახვეწილი. ყველა მათგანს უყვარს საქართველო. ყველა ის ადამიანი, ვინც დღეს უცხოეთს მიაშურა, საქართველოში შექმნილმა მდგომარეობამ



ლევან კობიაშვილი

აიძულა გადაედა ასეთი ნაბიჯი. თუ ყველაფერი უკეთესობისკენ წავა, ეს ხალხიც უკან დაბრუნდება. მეც მიყვარს საქართველო, ჩემი სამშობლო. განათლება საქართველოში მივიღე. სპორტსმენადაც საქართველოში ჩამოყვანილი. საქართველოში მყავს მე-გობრები, ნათესავები, მშობლები. ბუნებრივია მეც ვული შემტკიცავ".

ელდარ კურტანიძე (თავისუფალი სტილითა ჩიბაბონი): "შაბათიდან მოყოლებული ის, თუ როგორ ვითარდება მოვლენები, დადებითად შევაფასებდი. დადებითად იმიტომ, რომ არ მოხდა ის, რაც ასე ავად მაგონდება. გულში სიმობ იმ უბედურ მოვლენებს, რომლებიც 1991 წელს დატრიალდა, როდესაც პრეზიდენტი ძალათვით აიძულეს დატოვებოდა. ისევე როგორც მაშინდელი მთავრობა. ბედნიერი ვარ იმითაც, რომ ედუარდ შვეარდნაძემ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ არ გა-

და მთავრობა დაუყოვნებლივ უნდა გადადგეს. დღეს სხვა გამოსავალი აღარ არსებობს. ამას ხალხიც იზიარებს და ამიტომაცაა, რომ ათათასობით ადამიანი გარეცამოვიდა.

სპორტსმენებს კი აქამდე უნდა ეთამაშათ რამე როლი. სამწუხაროდ, მათ მიმდინარე მოვლენების არანაირი როლი არ უთამაშათ, გარდა რამდენიმე კაცისა. სპორტსმენების მასამ, რატომღაც, არც დადებითი როლი ითამაშა და არც უარყოფითი. ამ შემთხვევაში ნეიტრალური პოზიცია ცუდია. გარკვეული ნაბიჯების გადაგმა ჯობია".

ვახტანგ ჯავახიძე (მკლავჭილი, ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონი): "მე და ჩემი თანამოაზრე სპორტსმენები დღედაღამ იქ ვდგავართ, სადაც ჩვენი ხალხია. მინდა მოეწონოთ სხვა სპორტსმენებსაც, რომ შემოგვიერთდნენ. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, დღეს ბევრი სპორტსმენი უცხოეთში გადაიხვეწა და საკუთარ ძალას თუ ნიჭს სხვა ქვეყანას ახმარენ. არადა აქ უნდათ, მაგრამ გაუსაძლის ყოფას ვეღარ გაუძლეს. მართკ მკლავჭიდელებიდან რამდენიმე ასეთი სპორტსმენია ნასული: ამერიკაში, რუსეთში, იტალიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში... მათ მივარცავს, პირადად მე, ვერ ვგვატყუებენ. იმედი მაქვს, რომ მალე უკან დაბრუნდებიან და სხვა ქვეყნის დროში ქვესდგომის ნაცვლად საქართველოსთვის დაღვრიან ოფლს. დიდი იმედი ვაქვს ჩვენი მომავლის. ამიტომაცაა, რომ იქ ვდგავართ. ფაქტია, ამ წნის განმავლობაში ხალხს ხმა არ ამოულია უგაზობაზე, უშუქობაზე, უწმინდაზე, უპენსიობაზე, უხელოობაზე, უსტუმბუნობაზე, შიმშილობაზე, მაგრამ როდესაც ხმა გაუთალებს და მიაყენს შეურაცხყოფა, მოთმინების ფილა აეკსოთ.

ახლა ერთადერთი რაც მინდა ისაა, რომ სხვა სპორტსმენები ჩვენთან მოვიდნენ. ნუ გადავების გვერდზე. არ შემიძლება მაღლობს არ გადაუხადო ჩვენს პოლიციას, ძალიან გვაწუხებს, უშიშრობას, რომდემებიც კაცურად მოქცენენ და ხალხის ნებას წინ არ ალუდენენ".

დეპრესია - სახალხო დაავადება

რატომ ვეღარ ვხედავთ სებასტიან დაისლერს "ბაიერნში"



ნინო პირველი

დეპრესია გერმანიაში ერთერთ ყველაზე მეტად გავრცელებული დაავადებაა. გასულ წელს დეპრესიის მიზეზით შრომისუნარიანმა გერმანელებმა 18 მილიონი სამუშაო დღე გააცდინეს, თხუთჯერ მეტი, ვიდრე 2000 წელს. დეპრესიის მიზეზით მრავალი ადამიანი ხშირ შემთხვევაში ბოლომდე გამოუცნობი რჩება. სასონარკეთილებამდე ადამიანი ბევრი მიზეზის გამო შეიძლება მივიღწიო. ზოგჯერ ეს ბავშვობის გატანალი ფსიქოლოგიური ტრამაა, რომელსაც დღემდე ვერ იგიწყებენ, ზოგჯერ დეპრესიას გადადლოლობა და ზედმეტი ნერვიულობა იწვევს. მემკვიდრეობით დეპრესიაც არსებობს, თუმცე ქრონიკულ დაავადებებსაც ხშირად მიყვავართ ამ სენსიკენ. დეპრესიაში ჩავარდნილი ადამიანი საშინელ განწყობაზეა, დლოაობით საზოზარ ხასიათზე დიფიციებს, თავი არარაობად მიჩნია, საკუთარ ნაჭუჭში იკეტება, არვისთან არ სურს ურთიერთობა, სამსახურში აღარ დადის, ხშირად უშიზეუოდ ეუფლება შიში, ყოველად უსაფუძლოდ თავს დამნაშავედ მიიჩნევს და საზოგადოებისგან იზოლირებას ცდილობს. დეპრესია გერმანიაში თვითმკვლელობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია...

ფსიქოტერაპია და მისი შედეგები

ჩემპიონთა ლიგაში, საკუთარ მოედანზე ფრანგულ "ლიონთან" დამარცხების შემდეგ "ბაიერნში" ყველა ცუდ ხასიათზეა. ოთხი დღის შემდეგ მიუნხენის დორტმუნდის "ბორუსიას" მასპინძლობენ და ბიერ ანგარიშით ამარტერი ამ მატჩის მთავარი გმირია. გერმანია-საფრანგეთის ამხანაგური შეხვედრის შემდეგ "ბაიერნის" მენეჯერ ული ჰოინესს დაისლერი ურეკავს და მოულოდნელად უცხადებს, რომ მეტი აღარ შე-

უძლია. მას დახმარება სჭირდება.

ული ჰოინესი და ოტმარ შიტცფელდი მაშინვე მანქანაში სხედენ და დაისლერის ბინისკენ მიემშურებიან. აქვე კლუბის ექიმი ჰანს-ვილემ მულერ-ვოლფარტიც. დეპრესიის სანყისი ფაზა"- ასეთ დიაგნოზს სვამს კლუბის ექიმი. ტრამებისგან გატანარულ დაისლერს ახლა დეპრესია ანუხებს. ოთხშაბათს ფეხბურთელი სამკურნალოდ მიჰყავთ მიუნხენის მაქს პლანკის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტში. დაისლერის ისედაც საკმაოდ გრძელი ავადმყოფობის ისტორია ახალი ჩანანერებით იგება. ამჯერად, პრობლემა ფსიქური ხასიათისაა. ფიზიკურად "ვერტას" ექსლიდერი უკვე ბოლომდე ჯანმრთელია. "ბაიერნის" ფეხბურთელებს უცხადებენ, რომ მათ კოლგებს აგრამი აქვს და შესაძლოა, საშითხი კვირა არ ითამაშოს.

ჯერ არავინ იცის, რა დამართა სინამდვილეში დაისლერს. სიმართლე მოგვანიტობს ხდება ცნობილი. ფსიქიატრიის ინსტიტუტში დაისლერი პროფესორ ფლორიან პოლსბორის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. პროფესორმა არ იცის, როდის შეძლებს დაისლერი "ბაიერნში" დაბრუნებას: "ეს შეიძლება ცოტა ხანში დასრულდეს, შესაძლოა მთელი ცხოვრება გავრდეს. იმედი მაქვს, ის სწრაფად შეძლებს მდგომარეობიდან გამოსვლას. ეს ტიპური დეპრესიაა, რომელსაც ტვინში ნივთიერებათა ცვილის დარღვევა იწვევს. სებასტიან დაისლერი გამოჯანმრთელების გზაზეა. ჩვენ უკვე მივალნივთ გარკვეულ წარმატებას", - ამბობს ექიმი. პროფესორის აზრით, დაისლერი ფიზიკურად შესანიშნავ ფორმაშია, მაგრამ თუ დეპრესია ვერ დაძლევს, კარიერის გაგრძელებას ვეღარ მოახერხებს. ამიტომაც, ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი ფსიქოტერაპიული სესიების ჩატარებაა. ფლორიან პოლსბორი დაისლერის მდგომარეობას საფანგმოდ არ მიიჩნებს. "სულ მცირე, ერთხელ მაინც ყველა ადამიანს უნდა შეეხებოდეს დეპრესია, როცა აუცილებლად სჭირდება ექიმების დახმარება. დეპრესია, სამწუხაროდ, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა თანამედროვე საზოგადოებისთვის", - ფიქრობს პოლსბორი.

"შიმაკის სინდრომთან" პარალელების გავლენა არ შეიძლება

"შიმაკის სინდრომი" - ეს უცნაური ტერმინი ბუნდესლიგაში მას მერე დაეკვიდრა, რაც "პანაფიკის" ჩემპიონთა ფეხბურთელი იან შიმაკი მოულოდნელად გაუჩინარდა. თავიდან არავინ იცოდა, რის გამო გაქრა ახალგაზრდა ჩემპიონი. თურნალისტებმა ხან უიბლო სიყვარულს დააბრალებს ფეხბურთელი დაკარგვა, ხან კლუბში არსებული პრობლემებს და ხანაც დეპრესიას. საშობაოდ გამოიკვია, რომ იან შიმაკს ქრონიკული ტრამა ანუხებდა და ამის გამო ვეღარ ახერხებდა ფეხბურთის თამაშს. იან შიმაკი დღესაც ნერვოზულ მდგომარეობაში იმყოფება და, კაცმა არ იცის, შეძლებს თუ არა ოდესმე პროფესიულ სპორტში დაბრუნებას.

"დაისლერის შემთხვევას საერთო არაფერი აქვს, ეგრეთ ნოდვეს, "შიმაკის სინდრომთან". დაისლერის პრობლემა იმავი მდგომარეობაა, რომ ის საკუთარ თავს მძიმე მოთხოვნებს უყენებს. ამდენი ტრამების შემდეგ, მას სურს, როგორმე დაიბრუნოს ჩვეული ფორმა და ისევე იმ დაისლერად იქცეს, როგორც ახსოვთ გულმგობტკივრებს. არ შეიძლება დაისლერის შედარება შიმაკთან". - ამბობს პროფესორი პოლსბორი.

ამ ყველაფერს პირადი პრობლემებიც ემატება. დაისლერის ბრანოლიელი მეგობარი გოგონა ეუნისი იანვარში ბავშვს ელოდებდა. ეუნისის მდგომარეობა, ცოტა არ იყოს, მძიმეა. მას ნოლით რეჟიმი აქვს. ესეც არ არის ადვილი გადასახენი იმ კაცისთვის, რომელიც თხუთმეტჯერ დამავედა მძიმე და ხუთჯერ გაიკეთა ოპერაცია. "მან ამ ყველაფერს უნდა გაუძლოს. სხვა გზა არ არსებობს", - მიაჩნია პროფესორს.

დაისლერს ყველა მხარში უდგას. "ბორუსიასთან" მატჩის შემდეგ "ბაიერნის" ფანებმა ის თვის საკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. "ბაიერნის" ფეხბურთელები მას მალე გამოჯანმრთელებას უსურვებენ და იმედს გამოთქვამენ, რომ ტრამებით გატანჯული დაისლერი, ბოლომდე, შეძლებს ყველაფერის დაიწყებას და მალე დაბრუნდება "ბაიერნს".

TV-სპორტი

ორშაბათი. 24 ნოემბერი

HTB + ФУТБОЛ

09:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
09:30 NBA TV - NBA შიგნიდან
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:25 იტალიის ჩემპიონატი
15:10 ინგლისის ჩემპიონატი
17:00 თავისუფალი დარტყმა
17:15 გერმანიის ჩემპიონატი
19:00 ესპანეთის ჩემპიონატი
20:45 საფეხბურთო უიკენდი
21:30 სახვალთო ტელეპროგრამა
21:35 ინგლისის ჩემპიონატი. მიმოხილვა
22:30 ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა
23:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. "სანტოსი" - "ფლუმინენსე"
01:15 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი"
01:45 01:45-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. "BOSTON CELTICS" - "NEW YORK KNICKS". პირდაპირი ტრანსლაცია
06:30 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა

HTB + СПОРТ

11:00, 14:00, 16:45, 20:00 პრეს-ცენტრი
11:15, 20:15 "ოლიმპის შეილები"
11:20 აერობიკა
11:45 ჭადრაკი. "საჭადრაკო მიმოხილვა"
16:00 ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. ფინალი. გადაწყვეტი მატჩი
14:15 ფიგურული სრიალი. საერთაშორისო ასპარეზობა. გრან-პრი "CUP OF RUSSIA"
16:00 სამთო სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი აშშ-ში. ვაჟები ვიკანტური სლალომი
17:00 სამთო სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი აშშ-ში. ვაჟები ვიკანტური სლალომი
17:00 სამთო სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი აშშ-ში. ვაჟები ვიკანტური სლალომი
17:00 სამთო სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი აშშ-ში. ვაჟები ვიკანტური სლალომი

EUROSPORT

11:30 სამთო სათხილამურო. მსოფლიო თასი აშშ-ში
12:00 თხილამურებით რბენა. მსოფლიო თასი ნორვეგიაში
12:45 "ოლიმპიური თამაშები". ტელეჯურნალი
13:15 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
15:00 ძალისხობა. მსოფლიო ჩემპიონატი კანადაში
17:00 სნუკერი. ჩემპიონატი დიდბრიტანეთში
21:00 მულტისპორტი
21:30 ფეხბურთი. ევროგოლები
22:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
00:15 K1-ის ლეკენდები
01:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ბედნიერი საათი
02:15 ფეხბურთი. ევროგოლები
03:15 ახალი ამბები
03:30 მულტისპორტი
03:45 "ოლიმპიური თამაშები". ტელეჯურნალი.

რასაც სიტყვები ვერ აღწერენ...



ფოტო: ანდრეას უილი

„ძველ გალერეაში“ ვარდებიან რევოლუციური საუბრობდენი



ბოლო დროს ჩემი კალმოსონობა კლასიკური მუსიკის კონცერტებიდან რეპორტაჟების წერიტ შემოიფარგლებოდა. ეს, რა თქმა უნდა, ცოტა არ არის. პირველი, რაც აქ მომეთხოვება, არის მაქსიმალურად დავიცვა მასალა ხმაბალი ეპითეტებისაგან "ენითა აღუწერელი", "საოცარი", "ფანტასტიკური", "დიდებული" - ამ სიტყვებს "ლიტერატურშინიის" ნაფტალინის სუნი უდით და თავმოყვარე ჟურნალისტის ლექსიკონში, წესით, სულაც არ უნდა მოხვდნენ. ეს რაც შეეხება სიტყვებს.

ემოციური მეხსიერება ყველაზე მდგრადია. ადრენალის შხაპები პროფესიული უნარ-ჩვევებისა თუ ხასიათის თვისებებიდან გამოდინარე იმეათ შემთხვევას არ წარმოადგენს. ემოციური გამოცდილება ძალიან ხშირად არაპირდაპირი გამოიხატება და მოდის. უამრავი ლიტერატურული დანი, კი-

ნო და ვიდეოკადრები, რომლებიც გამარჯვებას აღწერენ, ყველაზე მაღალმხატვრული ღირებულების, სულ ცოტა, სიყალბის განცდას მაინც ტოვებდა.

ის, რაც გუშინ თბილისის ქუჩებში, რუსთაველის გამზირის მთელ სიგრძეზე ხდებოდა, ამ ყველაფრის მიღმა იდგა. გუშინდელი საღამო რუსთაველის პროსპექტზე გამვლელებს არასოდეს დაავიწყდებათ. საუკეთესო მნიშვნელობით - თეატრალურობის უმაღლეს ნერტილს, პრეზიდენტის გადადგომასთან დაკავშირებულმა აღტიკებამ, სწორედ აქ მიაღწია. მანქანების გაბმული სირენები, სტვენა, აღტიკებული შეცხილები, სკანდირება - ეს სიტყვები ძალიან შორს არის ნამდვილი შინაარსის აღწერისაგან. ახლა უკვე კარგად ვიცი, როგორია ის რეალობა, რომელსაც, ყოველგვარი ბანალობის გარეშე - უბრალოდ, სიტყვები ვერ აღწერენ.

თიონა ჯაფარიძე

“გუშინ ექვსმა მხატვარმა 2,5 მეტრიანი ტილო დაეზატეთ: - ორი თვითმფრინავი, ერთი დიდი და მცირე პატარა, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით მიფრინავენ. ნამუშევარს ასე დაეარქვით: - “გზა მშვიდობისა ბაბუ” (რა თქმა უნდა, ორივე ბაბუს ვემშვიდობებოდი).

მაგრამ, ვიდრე საღებავი გაშრა, მოვლენები ისე სწრაფად განვითარდა, რომ ჩვენი ნამუშევარი უკვე ანტიკვარიატად იქცა. ტილო იქვე სახელოსნოში დაეაგდეთ და ყველამ მიტონგს მივაბურეთ.” - ისხენებს გუშინდელი დღე ამბავს გუშინ, გიორგობა დღეს, მხატვარი **მიშა შენგელია**.

მოვლენები, მართლაც, ისე სწრაფად ვითარდება, რომ ვფიქრობ, როცა "24 საათის" მკითხველი დღეს ამ სტატიას გაეცნობა, "ძველ გალერეაში" მხატვრების მიერ წითელი ღვინით თავისუფლების, ქართველი ხალხის, მიაღ-

სისა და ვარდების საღებავი-ლოები უკვე ძველ ამბად მოგწვევენებათ. დღეს, "ღამის კურიერის" წყალობით, ისიც ძველი ამბავია, **გია ბუღაძემ** ერთი თვით ადრე რომ დახატა ჯვრის მონასტრის ფონზე ის ოქროს ჯაჭვი, რომელიც ტელეკრანებთან ჩვენ ყველამ ერთად ვიხილეთ. ძველი ამბავია, მაგრამ ცოტა მისტიკისა და წინასწარმეტყველების ელფერი დაჰკრავს. და ეს განცდა განსაკუთრებით მაშინ გამიჩნდა, როცა "ძველ გალერეაში" მიტინგიდან ახლად მოსულმა მხატვარმა იქვე მეორე გალერეაში, (გალერეა "ლიკა") გადაგვიყვანა, სადაც მისი მასშტაბური ტილო დაგვხვდა. ტილოზე ღამის საქართველოა გამოხატული. უამრავი პატარა მანათობელი ნერტილით, ეკლესიამონასტრებით, კავკასიონის ქედითა და დასავლეთ-აღმოსავლეთის მდინარეებით, მტკვრითა და რიონით. "ეს **კონკრეტული ჩანაფიქრი იყო განათებულ, ელექტროფიცირებულ საქართველო-**

ზე, თავისი წარსული დროითა და ულტრათანამედროვეობით", - გვიხსნის ბატონი გია. მხატვრის მიერ თენახვერის წინ ჩაფიქრებული კონკრეტული თემატიკა მანათობელი კომუნიკაციების ქსელის ფონზე ის ოქროს ჯაჭვი, რომელიც ტელეკრანებთან ჩვენ ყველამ ერთად ვიხილეთ. ძველი ამბავია, მაგრამ ცოტა მისტიკისა და წინასწარმეტყველების ელფერი დაჰკრავს. და ეს განცდა განსაკუთრებით მაშინ გამიჩნდა, როცა "ძველ გალერეაში" მიტინგიდან ახლად მოსულმა მხატვარმა იქვე მეორე გალერეაში, (გალერეა "ლიკა") გადაგვიყვანა, სადაც მისი მასშტაბური ტილო დაგვხვდა. ტილოზე ღამის საქართველოა გამოხატული. უამრავი პატარა მანათობელი ნერტილით, ეკლესიამონასტრებით, კავკასიონის ქედითა და დასავლეთ-აღმოსავლეთის მდინარეებით, მტკვრითა და რიონით. "ეს **კონკრეტული ჩანაფიქრი იყო განათებულ, ელექტროფიცირებულ საქართველო-**

ლა" - მიჩვენებს მხატვარი ზეთში შესრულებულ თავისი წინაპრის პორტრეტს, რომელიც მას მამის კარნახითა და საკუთარი წარმოსახვით შეუქმნა. მეფის არმიის ჯარისკაცი, რომელსაც თავის სიცოცხლეში თვალთაც კი არ უნახავს. საქართველო ამომრჩეველთა სიაში მხოლოდ იმიტომ აღმოჩნდა, რომ მისი შვილის იური იურის ძე რედკოს სახელი და გვარი კომისიის წევრებს ორად გაუყვიათ და ორი ბიულეტენი მიუღიათ. ოჯახში წევრებს დიდი ძალისხმევა და მუშაობა (სტრასბურგამდე მივადით) დასჭირვებიათ, რომ წინაპრის სული მოესვენებინათ.

ტატიანა რედკო აკვარელში დახვეწილად ხატავს (მისი ამ ჟანრის 40-მდე ნამუშევარი საფრანგეთში გაიყიდა). გატაცებულია რილკესა და ესენინის პოეზიით და თავადაც წერს ლექსებს. აკეთებს კოლაჟებს, მუშაობს გრაფიკაში და ფერწერაში. ყველაფერი ეს ერთად ძველ გალერეაში თავმოყრილი და ძნელი წარმოსადგე-

ნია, რომ ერთი მხატვრის მიერაა შექმნილი. ყოველივე ამას მის რელიგიურ თემებზე შექმნილ ნამუშევრებსაც დავამატებთ: ექსპოზიციანზე მხატვრის ის კაბა და ფეხსაცმელიცაა გამოფენილი, რომლის გზა ფეხით განვლო. მის ერთერთ კოლაჟზე კი უწმიდესის გამოსახულებიანი ოფორტი და ძველი საათებიცაა დამაგრებული. ტატიანამ, რომელსაც სამხატვრო განათლების გარდა სწავლა სასულიერო აკადემიაშიც აქვს მიღებული, ამ ნამუშევარზე მიმანიშნა: "ისააკ ასურელს **პარალელები ჰქონდა გავლებული ადამიანის სულთან და საათთან: არის საათი, რომლის შეკეთება ჯერ კიდევ შეიძლება და არის ისეთიც, რომელიც ვეღარ გამოსწორდება და გადასაგდება.**" ასე, რომ წმინდა მამა გეასწავლის: სინდისი ნუ შეგვანუხებს თუ უფარგის საათს გადავადგებთ. **ჩვენც ხომ ნუხელ ღამით სწორედ ასე მოვიქცით.**

ვარდების რევოლუცია



